სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5002331123

13/04/2023

5002331123

ქართული ფილმის განვითარების ფონდი-ს წარმომადგენელს ბნ ლაშა აბაშიძეს

(საქართველო, ქალაქი თბილისი, აღმაშენებლის 164)

ბატონო ლაშა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 31 მარტის რეგისტრაციის N1002400223) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N002451123 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 10 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია

ბიუროს უფროსის მოადგილე

5002331123

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 18.09.2023 (ხელმოწერა) გ.ა



002451123

ექსპერტის დასკვნა № 002451123

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ქართული ფილმის განვითარების ფონდი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, აღმაშენებლის 164

სახელი და გვარი: ლაშა აბაშიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ალექსანდრე ფეიქრიშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ, აღნიშნულ მისამართზე შენობა ექვემდებარება თუ არა დემონტაჟს და შემდგომ, მიღებული ნარჩენი მასალების ღირებულება.

შემოსვლის თარიღი: 31/03/2023 წ

გასვლის თარიღი: 13/04/2023 წ

დასკვნა

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირ N164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე N33 და N12 შენობის (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები IV ხარისხისაა, შენობა მწვავედ ავარიულია. საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებები გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის მიწისძვრებით, საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. კაპიტალურობის მიხედვით შენობა განეკუთვნება III ჯგუფს და მისი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 100 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია. შენობის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს.

ალექსანდრე ფეიქრიშვილი

გამოკვლევა

შემოსული წერილის საფუძველზე, 2023 წლის 10 აპრილს, განხორციელდა ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირ N164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე N33 და N12 შენობის (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით) დათვალიერება ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ერთიანია, თუმცა

მინიჭებული აქვს ორი ნომერი (N33 და N12).

შენობა აშენებულია XX საუკუნის პირველ ნახევარში, განლაგებულია მცირე დახრილობის მქონე რელიეფზე (ფოტო.1 ..... ფოტო.7). სართულიანობით შენობა ერთ და ორ სართულიანია, სწორკუთხა ფორმის, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 28X24 მ., სიმაღლე 8 მ., შენობის ნაწილი დარბაზის ტიპისაა, სავარაუდოდ თავდაპირველად შენობას სამრეწველო გამოყენება ჰქონდა (ფოტო.8 ..... ფოტო.11). შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა. კონსტრუქციულად შენობა მზიდკედლებიანია, რომელიც შესრულებულია 40 სმ. სისქის წითელი აგურისა და თლილი ქვებისგან, ტიხრების ნაწილი მოწყობილია ბლოკის წყობით (ფოტო.12 ..... ფოტო.17). კიბეები, როგორც გარე, ისევე შიდა, მოწყობილია ფოლადის ჩანებზე, ლითონის ფურცლებით და მიდუღებული არმატურებით (საფეხურებად). მისი სახურავი ორქანობიანია და ბურულს წარმოადგენს, ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ფენილი (ფოტო.18).

ვიზუალური დათვალიერებისას შენობაში დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად ზეძირკველი ეროზირებულია (ფოტო.19 ..... ფოტო.21). სახურავის ხის კონსტრუქციები დაზიანებულია მპალით, სახურავიდან ჩამოდის წყალი (ფოტო.22). წყლის ჩადინების კვალი შეინიშნება აგრეთვე სხვადასხვა სათავსებში. კიბეების ლითონის კონსტრუქციები კოროზირებულია. კედლები გადახრილია ჰორიზონტალური სიბრტყიდან და აღენიშნებათ გამჭოლი ბზარები (ფოტო.23 ..... ფოტო.29). წყლის ზემოქმედების შედეგად ჩამოშლილია კედლის ნაწილები. დაზიანებები მიუთითებს საძირკვლის არათანაბარ ჯდენაზე.

ამრიგად, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირ N164-ში (ს/კ 01.13.07.024.026) მდებარე N33 და N12 შენობის (საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები IV ხარისხისაა, შენობა მწვავედ ავარიულია. საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებები გამოწვეულია ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი სხვადასხვა ინტენსივობის მიწისძვრებით, საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციებით, ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. კაპიტალურობის მიხედვით შენობა განეკუთვნება III ჯგუფს და მისი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 100 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია. შენობის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, შენობა-ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს.

ალექსანდრე ფეიქრიშვილი

გამოყენებული მასალები

1. წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

002451123

ექსპერტის დასკვნა № 002451123

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8

002451123



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12

002451123



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29